

**X კლასი**

1. სპილენძის ორი ერთნაირი სიგრძის გამტარი შეერთებულია მიმდევრობით. პირველ გამტარში თავისუფალი ელექტრონების მიმართული მოძრაობის სიჩქარე  $1,5 \text{ Sm}/\sqrt{\text{m}}\cdot\text{A}$ . განსაზღვრეთ თავისუფალი ელექტრონების მიმართული მოძრაობის სიჩქარე მეორე გამტარში, თუ მისი მასა  $5\text{-ჯერ}$  მეტია პირველი გამტარის მასაზე.
2. ელექტროქურის სპირალის წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტია  $\alpha=0,002\text{K}^{-1}$ . მუდმივი ძაბვის წყაროსთან ჩართვისას, როცა სპირალის ტემპერატურა  $300^\circ\text{C}$  გახდა, ქურის სიმძლავრე  $2,2 \text{ kV}$  იყო. იპოვეთ ქურის სიმძლავრე, როცა სპირალის ტემპერატურა  $600^\circ\text{C}$  გახდება.
3. ამპერმეტრის წინაღობაა  $R_a$ . დაადგინეთ რა დამატებითი წინაღობა უნდა მივუერთოთ ამპერმეტრს, რომ მისი დანაყოფის ფასი  $n$ -ჯერ გაიზარდოს.
4. 1 ომი შიგა წინაღობის დენის წყაროსთან მიერთებულია პარარელურად ჩართული 2 ნათურა, თითოეული 4 ომი წინაღობის. დენი წრედის განუშტოებელ ნაწილში 2 ა-ია. როგორი იქნება დენი, თუ ერთი ნათურა გადაიწვება?
5.  $r$  შიგა წინაღობის დენის წყაროსთან მიმდევრობით მიერთებულია თითოეული  $2r$  წინაღობის მქონე ორი რეზისტორი. როგორ შეიცვლება წყაროს მქე, თუ ამ რეზისტორებს პარალელურად ჩავრთავთ?
6. ნახაზზე გამოსახული რეზისტორებიდან, ერთსა და იმავე დროში, რომლის წინაღობაზე გამოიყოფა მეტი სითბო?
7. რამდენ ხანს გრძელდებოდა  $24 \text{ Sm}^2$  ფართობის მქონე ფირფიტის მოოქროვება, თუ ელექტროლიზი 3ა დენის ძალით მიმდინარეობდა და ფირფიტა ორივე მხრიდან ოქროს  $0.02 \text{ mm}$  სისქის ფენით დაიფარა?  $K=0.6812 \text{ Mm/g}$ .
8. ვაკუუმურ დიოდში ანოდური ძაბვა  $u$ -ს ტოლია. კათოდსა და ანოდს შორის მანძილი  $d$ -ს ტოლია. რა დროში მიაღწევს ელექტრონი კათოდიდან ანოდამდე, თუ მისი საწყისი სიჩქარე  $0$ -ის ტოლია? ელექტრონის მუხტი და მასა შესაბამისად არის  $e$  და  $m$ .

